ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01260701773**
თარიღი: **11/03/2026**

ადრესატი: შპს კოხტა უბანი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404893674
მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა, N53, კომერციული ფართი N6

თქვენი 13.02.2026წ. N01260444448-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქუჩა ანგია ბოჭორიშვილი, N37-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი, 1 მ/რ-ში საშუალო სკოლას, N 4 კორპუსსა და სადღეღამისო ავტოსადგომს შორის; ქალაქი თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა N37 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.04.2025წ. N7437417 ბრძანებით განსაზღვრული I-III ეტაპების და 15.12.2025წ. N7742533 ბრძანებით განსაზღვრული IV-V ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ჯონდო მაჭარაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01260828**
თარიღი: **23/03/2026**

მისამართი: შპს კოხტა უბანი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404893674
საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა, N53, კომერციული ფართი N6

შპს ,,კოხტა უბანი"-ს დირექტორს,

ბატონ ზაალ ნიუარაძეს,

ბატონო ზაალ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან შემოსული N 01260643252-01 (N 14-01260684570) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ანგია ბოჭორიშვილის ქ. N 37-ის მიმდებარედ, გლდანი I მ/რ-ში, საშუალო სკოლას, N4 კორპუსსა და სადღეღამისო ავტოსადგომს შორის, ქ. თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქ N37, N 01.11.12.015.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის" 2025 წლის 04 აპრილის N 7437417 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და მშენებლობის სანებართო მოწმობის საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესში დარღვეულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის N 361 დადგენილებით დამტკიცებული ,,მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი", კერძოდ სამუშაოების მიმდინარეობის დროს გზის სავალი ნაწილის მხარეს მოხდა ფერდის ნაწილის ჩამოშლა, რამაც დააზიანა გზის სავალი ნაწილის ინფრასტრუქტურა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურმა დაიწყო ადმინისტრაციული საქმის წარმოება და შპს „კოხტა უბანი" (ს.ნ 404893674) დაჯარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით და დაევალა შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე განახორციელოს გამაგრებითი სამუშაოები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ფერდის მდგრადობა და მომიჯნავე საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება. ასევე გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა ფერდის გამაგრების პროექტთან და მომიჯნავე საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან.

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ შპს „კოხტა უბანი"-ს (ს.ნ 404893674) მიმართ გამოსცა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ N შ-475/25 10.12.2025წ. დადგენილება, რომელიც ძალაშია მშენებლობის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრამდე, კერძოდ შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე განახორციელოს გამაგრებითი სამუშაოები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ფერდის მდგრადობა და მომიჯნავე საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება. ასევე გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა ფერდის გამაგრების პროექტთან და მომიჯნავე საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან, ასევე წარმოდგენილ იქნას სსიპ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური"-ს 2025 წლის 04 აპრილის N 7437417 ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შპს „კოხტა უბანი"-ს (ს.ნ 404893674) მიერ შემოტანილი N01260643252-01 05.03.2026წ. კონსტრუქციული დასკვნის მიხედვით აუცილებელია ქვაბულის ფერდის გამაგრება და მის მომიჯნავედ დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა.

2026 წლის 13 მარტს სამსახურის სპეციალისტის მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ ჩატარებული სამუშაოები ნაწარმოებია გამაგრების პროექტთან შესაბამისობაში და

24 March 2026 11:56

სამუშაოების საბოლოოდ დასრულების შემდგომ სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა ფერდის გამაგრების პროექტთან და მომიჯნავე საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან.

პატივისცემით,

ზურაბ მამსიკაშვილი

მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

24 March 2026 11:56